განათლების კომიტეტის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია

ბაფის დაარსების დღიდან, მის წარმატებისა და აღიარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი აქვს განათლების კომიტეტს. წლების განმავლობაში გატარებული ღონისძიებების შედეგად კომიტეტი მოქმედებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების სტანდარტების შესაბამისად. შემუშავებულია შესაბამისი დებულებები, განხორციელდა საერთაშორისო აღიარებული პროგრამის დანერგვა და იმპლემენტაცია. განსაკუთრებით საყურადღებოა) ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტის (ACCA საერთაშორისო პროგრამის ქართულად ადაპტირებული პროგრამის დანარგვა, რისთვისაც:

1. განისაზღვრა მისაღები კონტიგენტის კომპენტეციისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მოთხოვნები;
2. შემუშავდა და ჩამოყალიბდა სერტიფიცირების პროგრამა და შეთანხმებული იქნა შესაბამის სამსახურთან;
3. შემუშავდა სახელმძღვანელოების მომზადებისა და განახლების პროგრამა.
4. შემუშავდა გაგრძობითი სწავლების პროგრამის განსაზღვრის და შემდგომი დამტკიცების მექანიზმები.

პროფესიული სერტიფიცირების სფეროში განათლებისა და სერტიფიცირების პროცესების მართვაში მიღებულია საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა.
2025 წლიდან ამოქმედდა მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა პროფესიული გადამზადებისა და სერტიფიცირების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში მოპოვებული ცოდნა და კომპეტენცია მნიშვნელოვნად დაეხმარება ბუღალტრებს გახდნენ მოთხოვნადი სპეციალისტები მცირე და საშუალო ბიზნესში.

მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა პროფესიული გადამზადებისა და სერტიფიცირების პროგრამა (შემდგომ - **მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამა)** შემუშავებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) რეკომენდაციებისა და განათლების სტანდარ-ტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სტანდარტით შეჯერებული პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრები.

პროგრამა მოიცავს პროფესიული კომპეტენციის დადასტურებისა და სერტიფიცირებისათვის აუცილებელ სასწავლო/საგამოცდო მოდულებს, პასუხობს მცირე და საშუალო ბიზნესში არსებულ გამოწვევებს და ბაფის საქმიანობის მიზნებს.

პროგრამა ეფუძნება ნებაყოფლობით პრინციპს, რაც გულისხმობს ბუღალტრის თავისუფალ არჩევანს სერტიფიცირებისა და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების პროცესში მონაწილეობის თაობაზე.

პროგრამის მიზანია:

1. მსბ ბუღალტერთა კომპეტენციის მოთხოვნებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაცია, აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმაში მსს ბუღალტრების სრულფასოვანი ჩართულობა;
2. მსბ დასაქმებული/დასაქმების მსურველი ბუღალტრების მხარდაჭერა, პროფესიული კომპეტენციის ერთიან ჩარჩოზე, პროფესიული ეთიკის ნორმებსა და განგრძობით სწავლებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობით;
3. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა პროფესიული კომპეტენციის მქონე ბუღალტერთა რეესტრის შექმნით;
4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ანგარიშგების ხარისხის და სანდოობის ამაღლების გზით;
5. პროფესიისადმი ნდობის ამაღლება;
6. პროფესიული ორგანიზაციის შემდგომი გაძლიერება, პროფესიული კომპეტენციის მქონე კადრების გაწევრებით.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2025-2027 წლებში

ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების და სრული სასერტიფიკაციო პროგრამის საგამოცდო პროცესის განვითარების სამოქმედო გეგმით, ასევე მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში, განათლების კომიტეტი, მისივე მოქმედი საბჭოების აქტიური საქმიანობის საფუძველზე, 2025-2027 წლებში გეგმავს რომ განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

1. **წესდებითა და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა**

	დაგეგმილი ღონისძიება	**შესრულების ვადა**	**პასუხისმგებელი პირი**	**შენიშვნა**
1.	კომიტეტის სხდომები	სხდომები ჩატარდება პერიოდულად, (რეგულარულად სასერ-ტიფიკაციო პროცესების მიხედვით) გაფორმდება სხდომის ოქმები და დაარქივდება	კომიტეტის თავმჯდომარე	სხდომების ჩატარე-ბის კონკრეტული თარიღი დამოკიდე-ბული იქნება განსა-ხილველი საკითხების პერიოდულობაზე.
2.	2025-27 წლების სერტიფიცი-რების პროცესის მიმდინარე-ობის მონიტორინგი	პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ორჯერ.	კომიტეტის და შესაბამისი საბჭოს თავჯდომარე (განათლების კორდინატორი)	კომიტეტის მიერ გატარდება მონიტორინგის შესაბამისი ღონისძიებები
3.	სერტიფიცირების პროცესის შედეგების მიხედვით სრტიფიკატების მომზადება და გადაცემა	პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ორჯერ.	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და ადმინისტრაცია. (განათლების კორდინატორი)	კომიტეტის მიერ გატარდება შესაბამისი მომზადების ღონისძიებები
4.	2025-2027 წლების განგრძობითი სწავლების	ბაფის წევრების მოსაზრებების	განათლების კომიტეტის	მომზადდება და წევრებს დაეგზავნე-

	თემატიკის გამოკვლევა, შესწავლა და დამტკიცება.	შესწავლა გამოკვლევა მოხდება საანგარიშო წლის 1აპრილამდე.	თავმჯდომარე და ადმინისტრაცია. (განათლების კორდინატორი)	ბა თემატური კითხვარი.
5.	2025-2027 წლების განგრძობითი სწავლების ჩატარების უზრუნველყოფა.	ბაფის განგრძობითი სწავლების თემატი-კის დამტკიცება და ზედამხედველობის სამსახურში დასამტკიცებლად გადაგზავნა საანგარიშო წლის 1-მაისამდე.	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. ბაფის ადმინისტრაცია. (განათლების კორდინატორი)	მომზადდება და ზედამხედველობის სამსახურს დაეგზავნება შემუშავებული და განხილული პროექტი.
6.	განგრძობითი სწავლების შედეგების გამოკითხვის - შედეგების ანალიზი	საანგარიში წლის 31იანვრამდე	განათლების კომიტეტი. ბაფის აღმასრულებელი დირექტორი. (განათლების კორდინატორი)	გამოკითხვის შედეგები რელევან-ტური იქნება განგრძობითი სწავლების შეფასებისათვის.
7.	მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამის იმლემენტაციის საკითხები, საგამოცდო პროცედურების უზრუნველყოფა.	2025 წლის ივლისი	○ განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. ○ ბაფის ადმინი-სტრაცია. ○ საგამოცდო კომისია.	კომიტეტის მიერ გატარდება შესაბამისი მომზადების ღონისძიებები
8.	სხვასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე.	პერიოდულად, საანგარიშო წლების განმავლობაში	განათლების კომიტეტი. მოწვეული ლექტორები.	ბაფის შესაბამისი კომიტეტები და სტრუქტურები.

2. თემატური სემინარები/ტრენინგები 2025 - 2027 წლებში

განათლების კომიტეტში დასახული მიზნების მისაღწევად, გარდა პროფესიული სერტიფიცირების სფეროში დაგეგმილი ღონისძიებებისა, ძალიან მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდში სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება: ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების სფეროში; ასევე პროფესიული ეთიკის კოდექსის, საგადასახადო დაბეგვრის, ხარისხის კონტროლის სტანდარტთან დაკავშირებული სიახლლები განიხილონ/გააცნონ ბაფის წევრებსა და განათლების სისტემაში ჩართულ პრედენდენტებს.

კომიტეტებთან შეთანხმებით სხვადსხვა სემინარების დაგეგმვა და ბაფის ადმინისტრაციასთან ერთად შესაბამისი სემინარების ორგანიზება ყოველწლიურად, მინიმუმ წელიწადში 25-30 საათი.

განათლების კომიტეტის მუდმივი ზრუნვისა და გაახლების პირობებისათვის სამუშაო გეგმაში შემდგომ საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იქნება შემდეგი თემატიკა, კერძოდ:

1. ბაფის გამგეობის მიერ განათლების კომიტეტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება და მათი სრულყოფილი აღსრულება;

2. პროფესიული განათლების, პროფესიული სერტიფიცირების პოლიტიკისა და პროცედურების მუდმივ სრულყოფა;
3. ბუღალტერთა გადამზადებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების პროგრამების მომზადება და იმპლემენტაცია;
4. სასერტიფიკაციო პროგრამისა და სასერტიფიკაციო საგამოცდო პროცესის სრულყოფა;
5. სერტიფიცირების გამოცდების შედეგების აღიარება;
6. მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების გამოცდების შედეგების აღიარება;
7. სერტიფიცირების პროგრამის საგამოცდო ტესტების პერიოდული დახვეწისა და ცვლილების აუცილებლობის დადგენის მიზნით, სერტიფიცირებული ბუღალტრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესასწავლად და დასაკმაყოფილებლად, პერიოდულად ჩატარდება აუდიტური ფირმებისა და სხვა დამსაქმებლების გამოკითხვა.
8. ბაფის განათლების კომიტეტი და ადმინისტრაცია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის № ნ-16 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის 24-ე მუხლის მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის გააგრძელებს სასერტიფიკაციო მიმართულებებით ჩათვლების მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობას.
9. პროფესიული ორგანიზაციებისა და მსხვილი აუდიტორული კომპანიების წარმომადგენელთა ერთობლივი თანამშრომლობით, ბაფის 2025-2027 წლების განგრძობითი განათლების პროგრამის პროექტების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურზე დასამტკიცებლად გადაცემა.

განათლების კომიტეტის თავმჯდომრე:

კონსტანტინე დათიაშვილი